ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 13

ქ. თბილისი **30.08.2018**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი;

3. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის" მასწავლებელი;

4. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

5. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

6. **მარინა უშვერიძე** - PH-International - საქართველოს ოფისის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

7. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

8. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი:

ქეთევან ბაცანკალაშვილი

თათია ზარქუა

2. შპს თავისუფალი სკოლა

ავთანდილ კიკნაძე
ნონა გორგილაძე

3. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა

მერაბ ჭოხონელიძე

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

სერგო დურგლიშვილი

მაკა ნადარეიშვილი

ნინო ბალანჩივაძე

დავით ლიპარტელიანი

ლელა ფიცხელაური

მაკა ტუკვაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 16:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **შპს საერთაშრისო აკადემია ლოგოსის** მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. **შპს თავისუფალი სკოლის** მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს მერაბ წოხონელიძის საავტორო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, სერგო დურგლიშვილმა და მაკა ნადარეიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტ, სერგო დურგლიშვილის განცხადებით 2018 წლის 13 ივლისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N36 გადაწყვეტილებით სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 240.

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი მდებარეობდა ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. 34/ალ. ყაზბეგის გამზ. N2. სკოლის დროებით მფლობელობაში იყო ფართი - 2863,3 კვ.მ. აქედან: 2020 წლამდე 2411,3 კვ.მ.. 2018 წლის 24 აპრილს სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ბიზნეს ცენტრ საბურთალოსთან" იმავე შენობაში დამატებით 452 კვ.მ ფართის იჯარით სარგებლობასთან დაკავშირებით, 6 წლის ვადით. ასევე სკოლას აქვს სარგებლობაში ღია სპორტული მოედანი 312,2 კვ.მ.. სკოლის მიერ დამატებულ ფართზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარემ ესპერტს მიმართა შეკითხვით, ესწრებოდა თუ არა სწავლის დაწყებამდე სარემონტო სამუშაოების დასრულება.

ექპერტმა აღნიშნა, რომ სწავლის დაწყებამდე სარემონტო სამუშაოები დასრულებოდა და სკოლას ჰქონდა ყველა პირობა, სასწავლო პროცესი განეხორციელებინა 480 მოსწავლეზე, მათ შორის საკლასო ოთახები აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით; სკოლაში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ. მათ განმარტეს, რომ სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა მოხდა 2018 წლის 13 ივლისს, შესაბამისად სხვა დანარჩენ საკითხებზე პასუხი უკვე მიღებული ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 480-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსს (ს/კ 404989704) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს 480-ით.

2. **შპს თავისუფალი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა შეკითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ბალანჩივაძემ და დავით ლიპარტელიანმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

ექპსერტმა, ნინო ბალანჩივაძემ განმარტა, რომ შპს თავისუფალი სკოლა ფუნქციონირებდა 2011 წლიდან, და წარმატებით ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. 2016 წელს სკოლას 6 წლით მინიჭებული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით 240 მოსწავლეზე. ამჟამად, სკოლის ადმინისტრაციას გადაწყვიტილი ჰქონდა სასწავლო პროცესი განეხორციელებინა თბილისის კამპუსშიც და გაეზარდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 300-ით. აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო როგორც 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმას, ისე 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრულ შეფასების სიტემას, რათა გარკვეულიყო, რამდენად მოახერხა სკოლის ადმინისტრაციამ 2016 წელს მიღებული ავტორიზაციის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. ექპერტის განმარტებით სკოლას მათი რეკომენდაციები გათვალისწინებული ჰქონდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაეცნო რამდენიმე პედაგოგის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელ დავალებებს, მათ შეფასებასა და ანალიზს, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებანი:

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ერთიანი ფორმით იყო გაკეთებული;
- შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ტესტური იყო არა მარტო დახურული კითხვებით, არამედ ღია კითხვებითაც, ამასთანავე, ქართულში მოსწავლეები წერდნენ ესეს, ტექსტის რედაქტირებასა და თხზულებას;.
- მასწავლებლის მიერ შემუშავებული ანალიზები ზოგადი იყო, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლეოდა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებას.

საბოლოოდ, სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, კათედრებს ყურადღება გაემახვილებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებსა და შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრაზე.

სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ გაითვალისწინებს განსაზღვრულ რეკომენდაციებს და ახალი სასწავლო წლიდან გამოიყენებს შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვან, სტანდარტის შესაბამის ფორმებს.

მოსწავლეთა ნაშრომების დათვალიერებით I-IV კლასებში მოსწავლეთა შეფასება იყო განმავითარებელი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამულ ნაწილში არსებულითი ხარვეზები არ გააჩნდა სკოლას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს შეკითხვით ადამიანურ რესურსთან მიმართებით რაიმე ხარვეზი ხომ არ დაფიქსირებულა.

ექსპერტმა განმარტა, რომ არც ადამიანურ რესურსში დაფიქსირებულა რაიმე ხარვეზი, რადგან სკოლაში იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. ყველა მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას, და ყველას ჰქონდა სტატუსი მინიჭებული.

მატერიალური რესურსი სხდომაზე წარადგინა ექპერტმა, დავით ლიპარტელიანმა. მან განმარტა, რომ შპს თავისუფალი სკოლა მდებარეობდა ქ. ზესტაფონში, დავით აღმაშენებლის II შესახვევის N3-ში დაქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა N52-ში. სკოლა სარგებლობდა 716 კვ.მ. საერთო ფართის მქონე 4 შენობა ნაგებობით. სკოლას ქ. თბილისში მდებარეობდა დიდ დიღომში, მირიან მეფის ქ. N52-ში,სადაც სარგებლობდა 1582.76კვ.მ.-ით.

ქ. ზესტაფონში მდებარე სკოლის N1 შენობაში იყო 10 საკლასო ოთახი და კომპიუტერული ლაბორატორია. საკლასო ოთახებში განთავსებულია 89 ინდივიდულაური მერხი და სკამი, მასწავლებლის მაგიდები, სკამები და სასკოლო დაფები.

ამავე მისამართზე არსებულ N2 შენობაში იყო 3 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სასადილო, საკონფერენციო (რომელსაც სკოლა იყენებს ასევე სპორტულ დარბაზად), სამასწავლებლო და დირექტორის ოთახი. საკლასო ოთახებში განთავსებილი იყო 23 ინდივიდუალური, ხოლო ლაბორატორიაში 16 ორადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამებით (ჯამში 55 სკამი). საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო შესაბამისი რაოდენობის მასწავლებლის მაგიდებით და სასკოლო დაფებით.

N3 შენობაში იყო სპორტული დარბაზი, სადაც განთავსებული იყო მაგიდის ჩოგბურთის შესაბამისი ინვენტარი, რომლის ერთი მხარე იყო საწყობი, სადაც ვიზიტის დროს დასაწყობებული იყო 94 ინდივიდულაური მერხი და სკამი.

N4 შენობაში განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი.

საკლასო ოთახებში ჯამში განთავსებული იყო 206 ერთადგილიანი 16 ორადგილიანი მერხი სკამებით, ხოლო დოკუმენტურად, დაწესებულებას უდასტურდებოდა 250 ინდივიდულაური მერხი და სკამი.

ქ.თბილისში არსებული შენობის ნახევარსარდაფში განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი (საკონფერენციო) სასადილო, სამზარეულო, სარეკრეაციო სივრცე და 1 საკლასო ოთახი; I სართულზე განთავსებული იყო დირექტორის ოთახი, კომპიუტერული ოთახი და 2 საკლასო ოთახი. აღნიშნული საკლასო ოთახები 3 მხირდან იყო შემინული, რაც შესაძლოა საფრთხის შემცველი ყოფილიყო მოსწავლეებისთვის. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით იგეგმებოდა მინებზე სპეციალური დამცავი ფირის გადაკვრა. ანტრესოლში განთავსებული იყო ექიმის ოთახი, 4 საკლასო ოთახი (მათგან 2 ოთახი პირველი სართულის მსგავსად შემინული) და გამოყოფილი იყო სივრცე ღია ბიბლიოთეკისთვის. მე-2 სართულზე განთავსებული იყო 7 საკლასო ოთახი და ღია სივრცე სამასწავლებლოსთვის. მანსარდაზე განთავსებული იყო 3 საკლასო ოთახი. შენობაში იყო 17 საკლასო ოთახი.

სკოლაში განთავსებული იყო 322 ერთადგილიანი და 6 ორადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამით.

ჯამში ორივე ფართზე დაწესებულებას უდასტურდებოდა 528 ინდივიდუალური და 22 ორადგლიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამებით, ხოლო დოკუმენტურად 572 ინდივიდუალური და 22 ორადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამებით.

სპორტულ დარბაზთან დაკავშირებით ექპერტმა აღნიშნა, რომ ქ. ზესტაფონში მდებარე ფართზე სკოლას ჰქონდა საკონფერენციო დარბაზისთვის გამოყოფილი სივრცე, რომელსაც იყენებდა სპორტულ დარბაზად, ასევე ცალკე მდგომ შენობაში იყო მაგიდის ჩოგბურთისთვის გამოყოფილი სივრცე, რომელიც გამოიყენებოდა სპორტულ დარბაზად. დაწესებულებას ასევე გააჩნდა ღია სპორტული მოედანი.

ქ. თბილისში არსებულ ფართზე ნახევარსარდაფში განთავსებული იყო დარბაზი, რომელსაც დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით სპორტული აქტივობებისა და კონფერენციებისათვის გამოიყენებს.

სკოლას ჰქონდა შერჩეული სპორტის სახეობისთვის საჭირო სპორტული ინვენტარი.

ლაბორატორიასთან დაკავშრებით ექპერტმა განმარტა, რომ ქ. თბილისში არსებულ შენობაში ლაბორატორია განთავსებული იყო ნახევარსარდაფში. ვიზიტის პერიოდში ლაბორატორიაში არ იყო განთავსებული ლაბორატორიული ხელსაწყოები. დაწესებულების ხელმძღვანელმა

წარმოადგინა ლაბორატორიის შესყიდვის მიზნით შპს „ჯეო დეკორთან“ 30 ივლისს გაფორმებული #013 ხელშეკრულება, ასევე თანხის ნაწილის გადარიცხვის ქვითრები.

საბჭოს წევრებმა დასვეს შეკითხვა, თუ რა თარიღი იყო განსაზღვრული ლაბორატორიის მიწოდებისთვის. აღნიშნულზე სკოლის წარმომადგენლის მიერ განიმარტა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდებოდა ლაბორატორიის მიწოდება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქ.ზესტაფონში სკოლას ჰქონდა სრულად ადაპტირებული გარემო, ხოლო ქ.თბილისში ეტლით მოსარგებლე პირს მე-2 სართულზე და მანსარდაზე მოხვედრა დამოუკიდებლად გაუჭირდებოდა, რადგან არ იყო პანდუსები და ასასვლელი კიბის ფორმიდან გამომდინარე შეუძლებელიც იქნებოდა მისი გამოყენება. თუმცა მანვე განმარტა, რომ სპორტული დარბაზი, ლაბორატორია, კომპიუტერული ოთახი და ბიბლიოთეკა იმ სართულებზე იყო განთავსებული სადაც ეტლით მოსარგებლეს პანდუსის საშუალებით ექნებოდა დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობა. სკოლის ხელმძღვანელის განმარტებით მათ მიწერილი ჰქონდათ მერიისთვის წერილი, რომლის მიხედვით დაგეგმილი იყო ანტრესოლიდან მე-2 სართულზე მოსახვედრად კიბის დამონტაჟება, რომელზეც შესაძლებელი გახდებოდა პანდუსის მოწყობა.

ექპერტი განმარტებით, სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. სკოლი ვებგვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

ყველა სართულზე განთავსებული იყო ცეცხლმაქრები და საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმები დამზადებული იყო შპს „ნაპერწკალის“ მიერ. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვით შპს „ნაპერწკალს“ ჰქონდა სახანძრო და დაცვითი სიგნალიზაციების მონტაჟის უფლება. თუმცა ქ. თბილისში არსებული შენობის მანსარდის ევაკუაციის გეგმა არ შეესაბამებოდა საკლასო ოთახების განლაგებას. აღნიშნული სართულის გეგმა მომზადებული იყო შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით. სკოლას მანსარდაზე გაკეთებული ჰქონდა ტიხრები, საკლასო ოთახების შექმნის მიზნით. . შესაბამისად, მანსარდის რეალური არსებული ოთახების განლაგება განსახვავდებოდა შიდა აზომვით ნახაზზე და ევაკუაციის გეგმაზე წარმოდგენილი სურათისგან.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექპერტმა განმარტა, რომ სკოლას ექპერტთა ჯგუფის მიერ გაეწია რეკომენდაცია, გასწორებულიყო საევაკუაციო გეგმა არსებული მდგომარეობის შესაბამისად.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდებოდა.

ექსპერტის განმარტებით, ქ. ზესტაფონში მდებარე სკოლის ბიბლიოთეკაში გამოყოფილი იყო ადგილი საჭირო მედიკამენტებითა და მოსასვენებელი საწოლით. დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევად აუცილებელი პრეპარატები და დაწესებულებას ემსახურებოდა ექთანი.

ქ. თბილისში არსებულ შენობაში, ანტრესოლში გამოყოფილი იყო ოთახი ექიმისათვის, რომელშიც განთავსებული იყო სამედიცინო კარადა, მოსასვენებელი საწოლი და მედიკამენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და ექსპერტს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ განაცხადა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლას უნდა გადმოეგზავნა საევაკუაციო გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა, კერძოდ მოსწავლეთა რაოდენობის 540-ით, აქედან ქ.თბილისში 300-ით, ქ.ზესტაფონში 240-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-8

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თავისუფალ სკოლას (ს/კ 430024939) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს 540-ით, აქედან ქ.თბილისში 300-ით, ქ.ზესტაფონში 240-ით.

3. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ლელა ფიცხელაურმა და მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა ძირითად მიგნებებზე, რომლებიც გამოიკვეთა ვიზიტის დროს.

დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის დროს, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრებოდა 560 მოსწავლით. დაწესებულებას სურვილი ჰქონდა მოსწავლეთა კონტიგენტი განსაზღვრულიყო 780 მოსწავლით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ადამიანური რესურსი და სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით. ექპერტმა წინასწარვე აღნიშნა, რომ სკოლა აკმაყოფილებდა სტანდარტებს, და ჰქონდა იმის მზაობა, რომ განეხორციელებინა სასწავლო პროგრამა 780 მოსწავლეზე.

შპს „მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა რეგისტრირებული იყო შემდეგ მისამართზე ქ. ქუთაისი ბუხაიძის № 9 3304.56 კვ.მ ფართის ორ შენობისაგან შემდგარ კომპლექსში, №1 შენობა განკუთვნილი იყო საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, ხოლო №2 შენობა დაწყებითი საფეხურისთვის.

სკოლაში იყო 56 საკლასო და 27 მცირე ზომის ოთახი, რომელიც გამოიყენებოდა განაყოფი გაკვეთილებისთვის. სკოლას ქონდა 807 მერხი (662 ერთადგილიანი და 145 ორადგილიანი). ექვსსართულიანი შენობის მე-5 სართული განკუთვნილი იყო სპორტის გაკვეთილებისთვის, სადაც განთავსებული იყო 228კვ.მ ფართის სპორტული დარბაზი საშხაპეებით, საპირფარეშოებითა და გასახდელებით.

სკოლაში იყო 15 სველი წერტილი ბიჭების, გოგონების, პედაგოგებისა და შშმ მოსწავლისათვის. სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

სკოლას ქონდა სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი 39 კომპიუტერი.

რაც შეეხებიდა პროგრამულ ნაწილს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

საათობრივი ნამატი ჰქონდა ქართულ, მათემატიკასა და უცხოურ ენებს. მეორე უცხოურ ენად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა (რუსულს/ გერმანულს/ფრანგულს). სკოლა უცხოური ენის პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებდა ინგლისურენოვანი საზაფხულო სკოლის ორკვირიან პროექტს- ბაკურიანში.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ადამიანურ რესურსთან მიმართებით განმარტა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 121 თანამშრომელი: სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფდა 94 პედაგოგი. გარდა ამისა სკოლას დამატებით 15

პედაგოგთან გაფორმებული ჰქონდა წინარე ხელშეკრულება. სკოლა ჩართული იყო მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში. სკოლას, ექსპერტთა ვიზიტის დროს ჰყავდა 2 წამყვანი , 54 უფროსი და 16 პრაქტიკოსი მასწავლებელი. 22 პედაგოგი სტატუსის გარეშე იყო, მათგან 11პედაგოგს ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა, ხოლო ორს გავლილი აქვს მასწავლებელთა გადამზადების 60 კრედიტიანი პროგრამა. დანარჩენმა პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღეს 2018 წლის მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდაში და ვიზიტის პერიოდში ელოდებოდნენ შედეგებს. ყველა მასწავლებლებს დიპლომის მიხედვით უდასტურდებოდათ კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლიდნენ.

სკოლის წარმომადგენელმა, ბ-ნმა დავით ჭოხონელიძემ ცნობად მიაწოდა საბჭოს, რომ ყველა პედაგოგებმა რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 2018 წლის მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდაში წარმატებით ჩააბარეს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის ნაწილში სკოლა აკმაყოფილებდა საქმიანობა განახორციელოს მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და ექსპერტს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა, კერძოდ მოსწავლეთა რაოდენობის 780-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-8

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლას (ს/კ412725573) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს 780-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 17:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მანანა რატიანი

მდივანი
თამილა ჩუბინიძე